



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

(გადამუშავებული ვარიანტი)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა	5
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა	6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი.....	7
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები.....	7
3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	8
3.2 არაფინანსური აქტივების კლება.....	11
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	11
4.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები	12
4.2 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	14
4.3 ასიგნებები	16
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები.....	18
6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი	18

**დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- 2) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- 3) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- 4) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენაზე საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და

გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

-) უზრუნველყოფს თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
-) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
-) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება – ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2021 წელს დაწყებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციები მიმდინარე წელსაც გაგრძელდა და 2022 წლის პირველ 10 თვეში ეკონომიკურმა ზრდამ 10.0% შეადგინა, 2023 წლის რეალური მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი, 5.0%-ის დონეზეა განსაზღვრული. აღნიშნულის პარალელურად, მსოფლიოში არსებული ინფლაციური პროცესებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის სწორად განხორციელება.

რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველად კანონპროექტზე მომზადებული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით, გადამუშავებულ კანონპროექტში განხორციელებულია რიგი პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგების ინფორმაციის გაუმჯობესება. ამასთანავე, კანონპროექტთან მიმართებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე:


-) მნიშვნელოვანია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს ბოლო წლებში ბიუჯეტის შესრულების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების სათანადო ანალიზის საფუძველზე;
-) რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში, შეინიშნება სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის. ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები;
-) პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, დასკვნაში მოცემული შენიშვნების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების მიხედვით, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 512,549.4 ათას ლარს, ხოლო გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა – 535,549.4 ათას ლარს. შესაბამისად, კანონპროექტით დაგეგმილია ნაშთის 23,000.0 ათასი ლარით შემცირება.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები 2021-2022 წლებში (ათასი ლარი)



რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2023 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით იზრდება, შესაბამისად, 31,039.7 ათასი და 53,243.5 ათასი ლარით. შემოსულობების ზრდა განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 69,324.0 ათასი ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელები იზრდება ყველა კომპონენტში: „ხარჯები“ – 28,723.2 ათასი ლარით, „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 18,439.9 ათასი ლარით და „ვალდებულებების კლება“ – 6,080.4 ათასი ლარით.

2023 წლის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი შემოსულობებს აჭარბებს 23,000.0 ათასი ლარით. შესაბამისად, იგეგმება ბიუჯეტის ნაშთიდან 23,000.0 ათასი ლარის გამოყენება. წარმოდგენილი პროგნოზით, შემოსულობებისა და გადასახდელების 100%-ით შესრულების შემთხვევაში, 2023 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე თავისუფალი ნაშთი არ უნდა იყოს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, შემოსავლები – 432,133.7 ათასი ლარით, ხარჯები – 391,612.4 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი, 54,091.4 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2023 წლისთვის 40,521.2 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო 13,570.2 ათას ლარს შეადგენს. წარმოდგენილი კანონპროექტით, გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის – 23,000.0 ათასი ლარის დაფინანსება იგეგმება 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთიდან.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის პირველადი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველადი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	362,809.7	411,932.3	432,133.7	20,201.4	69,324.0	19.1%
ხარჯები	362,889.2	371,460.9	391,612.4	20,151.5	28,723.2	7.9%
საოპერაციო სალდო	-79.6	40,471.4	40,521.2	49.9	40,600.8	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	17,367.2	46,041.5	54,091.4	8,049.9	36,724.2	211.5%
მთლიანი სალდო	-17,446.8	-5,570.2	-13,570.2	-8,000.0	3,876.6	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-796.2	-15,000.0	-23,000.0	-8,000.0	-22,203.8	2,788.9%
ვალდებულებების ცვლილება	16,650.6	-9,429.8	-9,429.8	0	-26,080.4	-156.6%
ბალანსი	-	-	-			
2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი						817.7
ნაშთი 2022 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით						79,999.3

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები ნაშთის შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, რესპუბლიკური ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2022 წლის ბოლოს ნაშთი არანაკლებ 23,000.0 ათას ლარამდე იზრდება; ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაშთი 2022 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 79,999.3 ათას ლარს შეადგენს, გადასახდელების არათანაბარზომიერი ათვისების პირობებში, 2022 წლის ბოლოს ნაშთის საპროგნოზო მოცულობით ათვისების ალბათობა დაბალია.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 512,549.4 ათას ლარს, რაც 2022 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 31,039.7 ათასი ლარით, ანუ 6.4%-ით, ხოლო 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს – 20,201.4 ათასი ლარით, ანუ 4.1%-ით აღემატება.

2022 წელთან მიმართებით, შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით გამოირჩევა შემოსავლები, რომელიც – 69,324.0 ათასი ლარით, ანუ 19.1%-ით იზრდება, არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი კი – 18,284.3 ათასი ლარით, ანუ 18.5%-ით მცირდება. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით არ იგეგმება ვალდებულებების ზრდა.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსულობები	2022 წლის გეგმა	2022 წლის 11 თვის ფაქტი	2022 წლის 11 თვის შესრულება (%)	2023 წლის პირველი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	362,809.7	350,990.7	96.7%	411,932.3	432,133.7	20,201.4	69,324.0	19.1%
არაფინანსური აქტივების კლება	98,700.0	22,408.5	22.7%	80,415.7	80,415.7	-	-18,284.3	-18.5%
ვალდებულებების ზრდა	20,000.0	20,000.0	100.0%	-	-	-	-20,000.0	-100.0%
შემოსულობები:	481,509.7	393,399.3	81.7%	492,348.0	512,549.4	20,201.4	31,039.7	6.4%

3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2023 წლისთვის 432,133.7 ათას ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის პროგნოზირებულ მაჩვენებლებთან შედარებით, „გადასახადების“ კომპონენტი იზრდება 70,000.0 ათასი ლარით (20.0%-ით), ხოლო „გრანტების“ კომპონენტი – 61.7 ათასი ლარით (19.9%-ით). ამასთანავე, „სხვა შემოსავლების“ კომპონენტი მცირდება 737.7 ათასი ლარით (5.9%-ით).

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო გადასახადებია, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით 420,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 70,000.0 ათასი ლარით, ანუ 20.0%-ით აღემატება 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. წარმოდგენილი დოკუმენტებით, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.¹

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები	2022 წლის წლის გეგმა	2022 წლის 11 თვე ფაქტი	2022 წლის 11 თვის შესრულება (%)	2023 წლის პირველი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
გადასახადები	350,000.0	342,612.9	97.9%	400,000.0	420,000.0	20,000.0	70,000.0	20.0%
გრანტები	309.7	40.2	13.0%	170.0	371.4	201.4	61.7	19.9%
სხვა შემოსავლები	12,500.0	8,337.7	66.7%	11,762.3	11,762.3	-	-737.7	-5.9%
სულ შემოსავლები	362,809.7	350,990.7	96.7%	411,932.3	432,133.7	20,201.4	69,324.0	19.1%

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი N 04-03/109684, 01/12/2022.

„გრანტების“ მუხლი 2023 წლისთვის 371.4 ათასი ლარის ოდენობითაა განსაზღვრული, რაც წარმოადგენს გაეროს ბავშვთა ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებ მიმდინარე დანიშნულების გრანტებს. გრანტი მიზნობრივია და ის მიმართულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის – „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ დასაფინანსებლად.

„სხვა შემოსავლების“ მუხლი 2023 წლისთვის 11,762.3 ათასი ლარის ოდენობითაა განსაზღვრული. მოცემული კომპონენტის ყველაზე მსხვილ კატეგორიას წარმოადგენს პროცენტების სახით მისაღები შემოსავლები (7,000.0 ათასი ლარი). პროცენტების სახით მისაღები შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 7,000.0 ათასი ლარის ნიშნულზე განსაზღვრა დაკავშირებულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე ნაშთის ზრდის პროგნოზთან. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 11 თვის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის მხოლოდ 65.1%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოიკვეთა ნაშთის მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენცია, 2021 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 366.2% შეადგინა. მოცულობითი ხარჯვაა მოსალოდნელი მიმდინარე წლის დეკემბერშიც. აღნიშნული პრაქტიკა შენარჩუნებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტშიც, რაც პროგრამების/ქვეპროგრამების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგია და ასიგნებების დროულ და თანაბარზომიერ ათვისებას პრობლემას უქმნის.


ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2022 წლის 11 თვე - ფაქტი	2022 წლის 11 თვის შესრულება (%)	2023 წლის გეგმა	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	6,514.7	9,452.0	5,416.7	57.3%	8,198.7	-13.3%
პროცენტები	3,638.8	7,000.0	4,486.4	64.1%	7,000.0	0%
დივიდენდები	1,479.8	600.0	361.9	60.3%	700.0	16.7%
რენტა	1,396.0	1,852.0	568.4	30.7%	498.7	-73.1%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან	339.9	452.0	387.1	85.6%	198.7	-56.0%
სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	1,056.1	1,400.0	181.2	12.9%	300.0	-78.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	581.3	448.0	396.8	88.6%	463.6	3.5%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	5.4	100.0	14.8	14.8%	100.0	0%
ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,597.8	2,500.0	2,509.4	100.4%	3,000.0	20.0%
სხვა შემოსავლები:	11,699.3	12,500.0	8,337.7	66.7%	11,762.3	-5.9%

წარმოდგენილი კანონპროექტით, 198.7 ათასი ლარის ნიშნულზეა განსაზღვრული 2023 წლის საპროგნოზო „შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან“. იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 11 თვის შესრულება 387.1 ათას ლარს შეადგენს, COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის გამო დაწესებული შეღავათების გაუქმებით გამოწვეული ფისკალური ეფექტის, ინფლაციისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, შესაძლებელია ამ კომპონენტში შემოსავლების, მინიმუმ, 2022 წლის საპროგნოზო დონეზე შენარჩუნება.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, „დივიდენდების“ გეგმური მაჩვენებელი 700.0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც 2022 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 16.7%-ით (100.0 ათასი ლარით) მეტია. დივიდენდების სახით 2022 წლის 11 თვეში მობილიზებულ იქნა 361.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 60.3%-ია. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 35 საწარმოდან, 2022 წლის 11 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს.² აღნიშნული საწარმოები წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაცია, რათა დროულად განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ.

დიაგრამა 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის დივიდენდების სახით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 2018-2022 წლებში (ათასი ლარი)



მოპოვებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა. დიაგრამაზე წარმოდგენილი ბოლო წლების მონაცემების გათვალისწინებით, დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების 700.0 ათასი ლარის ნიშნულზე განსაზღვრა, ბიუჯეტის პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვაზე მიუთითებს.

² შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 328.3 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ - 20.0 ათასი ლარი, შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“ - 13.6 ათასი ლარი.

3.2 არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 80,415.7 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 18,284.3 ათასი ლარით (18.5%-ით) ნაკლებია 2022 წლის გეგმურ მაჩვენებელზე, თუმცა 3.6-ჯერ აღემატება 2021 წლის ფაქტს და 8-ჯერ – 2020 წლის ფაქტს. აღსანიშნავია, რომ საპრივატიზებო აქტივების მოცულობა და ღირებულება ბოლო პერიოდში არსებითად არ გაზრდილა. წინა წლების, მათ შორის, პანდემიამდე პერიოდის შესრულების მონაცემებისა და 2022 წლის 11 თვის ფაქტის (22,408.5 ათასი ლარი) გათვალისწინებით, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების ასეთი მოცულობით დაგეგმვა საპროგნოზო მაჩვენებლის ოპტიმისტური პროგნოზით განსაზღვრაზე მიუთითებს, რაც მეტ დასაბუთებას საჭიროებს. აღნიშნულზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიუთითებდა როგორც 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველად პროექტზე დასკვნაში, ასევე წინა წლებში მომზადებულ დასკვნებსა და მოხსენებებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა 535,549.4 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული და 11.0%-ით იზრდება მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კანონპროექტით დაგეგმილია გადასახდელების ყველა კომპონენტის ზრდა: „ხარჯების“ მუხლი იზრდება 28,723.2 ლარით (7.9%-ით), „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი – 18,439.9 ათასი ლარით (15.9%-ით), ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლი – 6,080.4 ათასი ლარით (181.5%-ით).

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების წლიური გეგმა კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 28,201.4 ათასი ლარით, ანუ 5.6%-ით აღემატება.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის 11 თვის ფაქტი	2022 წლის 11 თვის შესრულება (%)	2023 წლის პირველადი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველადი/გადამუშავებული ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
ხარჯები	362,889.2	254,574.1	70.2%	371,460.9	391,612.4	20,151.5	28,723.2	7.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	116,067.2	57,298.0	49.4%	126,457.2	134,507.1	8,049.9	18,439.9	15.9%
ვალდებულებების კლება	3,349.4	2,345.6	70.0%	9,429.8	9,429.8	-	6,080.4	181.5%
გადასახდელები	482,305.8	314,217.7	65.1%	507,348.0	535,549.4	28,201.4	53,243.5	11.0%

4.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, 2022 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გასაწევი ხარჯები (18,869.8 ათასი ლარით, 34.6%-ით), ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლით განსაზღვრული დაფინანსება მცირდება (14,612.9 ათასი ლარით, 23.2%-ით). რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტში გათვალისწინებულია „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდის გამო, „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ ხარჯების შესაბამისი ცვლილება.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2022 წელთან შედარებით 18,869.8 ათასი ლარით იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გასაწევი დაფინანსების მოცულობა. განსაკუთრებით მოცულობითი ზრდა (4,381.4 ათასი ლარით) ფიქსირდება „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების“ პროგრამაში. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ქალაქ ბათუმის გამწმენდი ნაგებობის მოპირდაპირედ, ასევე აეროპორტის ასაფრენი ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, მდ. ჭოროხის კალაპოტში არსებული წინასწარ შერჩეული კარიერებიდან 412 960 კუბ.მ პლაჟწარმომქმნელი ნატანის ტრანსპორტირებას და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე შესაბამის უბნებში რეცხვადი ბერმის მოწყობას.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2022 წელთან შედარებით „სხვა ხარჯების“ მუხლით გასაწევი დაფინანსების – 14,612.9 ათასი ლარით კლება, ძირითადად, დაკავშირებულია შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსების – 10,712.5 ათასი ლარით შემცირებასთან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს დაფინანსება მცირდება რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების გამო.


ცხრილი 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის „ხარჯების“ დინამიკა (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის პირველადი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველადი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	43,580.7	44,805.0	54,008.2	9,203.2	10,427.5	23.9%
საქონელი და მომსახურება	54,512.5	65,745.3	73,382.2	7,636.9	18,869.8	34.6%
პროცენტი	664.8	709.0	709.0	-	44.2	6.6%
სუბსიდიები	11,209.0	12,029.4	12,562.1	532.6	1,353.1	12.1%
გრანტები	168,668.5	173,608.3	178,662.9	5,054.6	9,994.4	5.9%
სოციალური უზრუნველყოფა	21,173.7	24,106.0	23,821.0	-285.0	2,647.3	12.5%
სხვა ხარჯები	63,080.1	50,457.9	48,467.1	-1,990.8	-14,612.9	-23.2%
ხარჯები:	362,889.2	371,460.9	391,612.4	20,151.5	28,723.2	7.9%

დიაგრამა 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (ათასი ლარი)



დიაგრამა 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის მილიონ გადასახდელებში „ხარჯების“ მუხლის თითოეული კომპონენტის წილის დინამიკა 2020-2023 წლებში



რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. ამავე დროს, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, გასათვალისწინებელია გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება.

ცხრილი 7. 2022 წლის 11 თვის მდგომარეობით, წლიურ გეგმასთან 40%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებებიც იზრდება ან იმავე დონეზე ნარჩუნდება 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის 11 თვის ფაქტი	2022 წლის 11 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	ზრდა 2022-2023 წწ.
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	997.6	348.5	34.9%	7,500.3	6,502.7
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	392.0	144.0	36.7%	660.0	268.0
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	530.1	179.1	33.8%	692.0	161.9
05 03 03	საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	938.9	342.5	36.5%	1,281.0	342.1
05 08 03 05 10 06	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	15.0	-	0%	30.0	15.0
05 10 03	ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა	30.0	9.0	30.0%	60.0	30.0
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	246.1	58.0	23.6%	380.0	133.9
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1,113.4	15.5	1.4%	1,450.0	336.6
06 02 11	უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა	500.0	171.7	34.3%	700.0	200.0
06 10 05	კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	35.0	-	0%	35.0	-
07 05 05	ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა	50.0	19.3	38.5%	50.0	-
07 12 06	პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები	676.3	-	0%	5,057.7	4,381.4


4.2 ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

2022 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება შემცირებულია 18.0%-ით, საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსება – 12.2%-ით და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსება – 0.1%-ით, ხოლო იზრდება გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება – 229.6%-ით, დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროების დაფინანსება – 38.9%-ით, განათლების სფეროს დაფინანსება – 23.5%-ით, ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსება – 16.9%-ით და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება – 12.1%-ით.

ცხრილი 8. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის პირველადი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველადი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	233,498.1	226,332.5	233,326.1	6,993.6	-172.0	-0.1%
ეკონომიკური საქმიანობა	101,031.0	112,153.8	118,105.4	5,951.6	17,074.4	16.9%
გარემოს დაცვა	2,055.7	6,508.5	6,775.5	267.0	4,719.8	229.6%
საბინაო კომუნალური მეურნეობა	19,356.0	17,000.0	17,000.0	-	-2,356.0	-12.2%
ჯანმრთელობის დაცვა	21,835.3	23,983.7	24,483.7	500.0	2,648.4	12.1%
დასვენება, კულტურა და რელიგია	38,292.8	43,931.6	53,202.9	9,271.3	14,910.1	38.9%
განათლება	52,214.8	59,256.7	64,474.6	5,217.9	12,259.8	23.5%
სოციალური დაცვა	10,672.6	8,751.3	8,751.3	-	-1,921.3	-18.0%
სულ:	478,956.4	497,918.1	526,119.5	28,201.4	47,163.1	9.8%

დიაგრამა 5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (%)



გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა უკავშირდება „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების“ პროგრამას, რომლის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 5,057.7 ათასი ლარს. პროგრამის ფარგლებში იგეგმება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების განხორციელება.

2022 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით, 17,074.4 ათასი ლარით იზრდება ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსება, სადაც მნიშვნელოვანი წილი უკავია ტურიზმის მიმართულების დაფინანსების ზრდას (6,213.6 ათასი ლარით).³

³ მაგალითად, „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“ პროგრამის დაფინანსება იზრდება 3,787.0 ლარით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2023 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, გადასახდელების უდიდესი წილი (89.2%) 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 44.3%, ეკონომიკური საქმიანობა – 22.4%, განათლება – 12.3% და დასვენება, კულტურა და რელიგია – 10.1%. დანარჩენი 4 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა 2023 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების 10.8%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 1.3%-იდან 4.7%-მდე მერყეობს.

4.3 ასიგნებები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად, 2022 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით, ასიგნებების მოცულობითი ზრდა ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (23,079.6 ათასი ლარით), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (13,314.5 ათასი ლარით), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (8,645.6 ათასი ლარით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (4,327.2 ათასი ლარით) შემთხვევაში, ხოლო სხვა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ცვლილება ძირითადად დაკავშირებულია „შრომის ანაზღაურების“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ ხარჯების ზრდასთან.

ცხრილი 9. ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის პირველადი გეგმა	2023 წლის გადამუშავებული გეგმა	2023 წლის პირველადი/გადამუშ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება	2022-2023 წწ. ზრდა/კლება (%)
უმადლესი საბჭო	5,809.5	6,693.5	7,125.9	432.4	1,316.3	22.7%
უმადლესი საარჩევნო კომისია	778.6	867.1	1,606.2	739.1	827.6	106.3%
მთავრობა	4,203.2	4,141.8	5,456.7	1,314.9	1,253.5	29.8%
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	120,169.0	123,138.7	133,483.6	10,344.8	13,314.5	11.1%
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	82,367.2	95,165.0	105,446.8	10,281.8	23,079.6	28.0%
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	28,907.8	32,735.0	33,235.0	500.0	4,327.2	15.0%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20,885.3	27,280.8	29,531.0	2,250.2	8,645.6	41.4%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	219,185.0	217,326.0	219,664.2	2,338.2	479.2	0.2%
ჯამი:	482,305.8	507,348.0	535,549.4	28,201.4	53,243.5	11.0%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად განპირობებულია 5,697.5 ათასი ლარით – „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტის ზრდით. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების შენობების მშენებლობისა და არსებული შენობების სრული და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სპორტული დარბაზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდის გათვალისწინებით, 5,296.9 ათასი ლარით იზრდება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საბიუჯეტო დაწესებულებების „შრომის ანაზღაურების“ ხარჯები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამის დაფინანსების 6,291.0 ათასი ლარით და „ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის დაფინანსების 4,042.8 ათასი ლარით ზრდასთან. „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია და სხვ., ხოლო „ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით ფინანსდება ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, მათ შორის, სკეიტპარკის მოწყობა (3,000.0 ათასი ლარით), საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები (1,950.0 ათასი ლარით), ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯი (1,166.0 ათასი ლარით) და სხვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსების ზრდა უკავშირდება „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების“ პროგრამის ბიუჯეტის 4,381.4 ათასი ლარით ზრდას. პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებში 1,260.0 ათასი ლარით იზრდება „სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ პროგრამის დაფინანსება, ხოლო 1,000.0 ათასი ლარით – „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსება.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, უცხოეთიდან მიღებული სესხების მომსახურების, თანადაფინანსებისა და სესხების დაბრუნების ხარჯების/ვალდებულებების კლების საპროგნოზო მოცულობა 10,138.8 ათას ლარს შეადგენს და 5,952.0 ათასი ლარით (142.2%-ით) აღემატება 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი 10. სესხების მომსახურების და უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი ლარი)

კოდი	სესხის დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	ზრდა/ კლება (%)
09 06	სესხების მომსახურების ხარჯები	681.7	664.8	709.0	6.6%
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	634.7	616.5	598.6	-2.9%
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	47.1	48.3	110.4	128.6%
09 07	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები	72.8	172.6	0.0	-100.0%
09 07 04	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში	72.8	172.6	0.0	-100.0%
09 08	უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	3,504.3	3,349.4	9,429.8	181.5%
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხის დაბრუნება	1,632.0	1,608.4	7,757.0	382.3%
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	1,872.3	1,741.0	1,672.9	-3.9%

წარმოდგენილი პროგნოზებით, უცხოეთიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 2023 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, 44.2 ათასი ლარით (6.6%-ით) იზრდება, ხოლო უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების გადასახდელი – 6,080.4 ათასი ლარით (181.5%-ით). გადასახდელის მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის დაბრუნებასთან.

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“ მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველად კანონპროექტზე მომზადებული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით გადამუშავებულ

კანონპროექტში გაუმჯობესებულია რიგი პროგრამების⁴ მოსალოდნელი საბოლოო შედეგების ინფორმაცია. ამასთანავე, 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას გამოვლენილია პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები:

- 1) პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირების პროცესი – დანართში წარმოდგენილი 60 პროგრამიდან⁵ 17 პროგრამა (28.3%)⁶ არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად;
- 2) შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავება – პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, ასევე შეფასების ინდიკატორში განსაზღვრული მაჩვენებელი ბუნდოვანია⁷ და არ ასახავს კონკრეტულად რა მიზნის მიღწევას ემსახურება, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;
- 3) ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა – პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში, არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

⁴ მაგალითად, „ბიზნესინტერესების დაცვის და ექსპორტის ხელშეწყობის“ პროგრამა, „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამა და სხვა პროგრამები.

⁵ გარდა ისეთი პროგრამებისა, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან.

⁶ მაგალითად, „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა“, „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა“, „სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია“, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ და სხვა პროგრამები.

⁷ მაგალითად, „დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევის და სტატისტიკის წარმოების“ ქვეპროგრამა.